ქვეპროგრამის დასახელება: სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსება

ვინ არის ქვეპროგრამის მიმწოდებელი?

ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელი არის პირი, საიდანაც მოსარგებლე ქ. თბილისის მერიას მომსახურების დაფინანსებისათვის წარმოუდგენს ანგარიშფაქტურას.

რას მოიცავს ქვეპროგრამა?

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს ენდოპროთეზირების საჭიროების მქონე პირებისათვის მენჯ-ბარძაყის ან/და მუხლისსახსრის ენდოპროთეზირება (დაზიანებული ან შეცვლილი სახსრის ჩანაცვლება ხელოვნური იმპლანტით).

ვის შეუძლია ქვეპროგრამით სარგებლობა?

1. ქვეპროგარამის მოსარგებლეები არიან:

ა) ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის (შემდგომში - მერია) განცხადებით მიმართვამდე ბოლო 2 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები, მათ შორის ისეთი პირები, რომლებსაც ამ 2 წლის განმავლობაში შეუწყდათ და კვლავ განუახლდათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში;

ბ) ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით, მერიისათვის განცხადებით მიმართვის დროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები, რომლებიც განცხადებით მიმართვამდე არ ყოფილან რეგისტრირებული საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტში;

გ) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი თბილისი.

2. ქვეპროგრამის მოსარგებლე ვერ გახდება პირი, რომელიც „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ დანართი N1.3-ით გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლეა ან ისეთი პირი, რომელსაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შეეთავაზა ენდოპროთეზირების მომსახურება და უარს განაცხადებს მომსახურების მიღებაზე.

როგორ უნდა ჩაერთოს მოსარგებლე პირი ქვეპროგრამაში?

ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით პირმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა მიმართოს მომსახურების შესაბამის მიმწოდებელს:

1. დაფინანსების საკითხის განხილვისათვის საჭირო დოკუმენტაციას, მომსახურების მიმწოდებელი მოდულის მეშვეობით, ელექტრონულად წარუდგენს ქვეპროგრამის განმახორციელებელს.

   მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია მოდულის მეშვეობით ელექტრონულად წარმოადგინოს:

   ა)მოსარგებლის რეკვიზიტები (პირადი ნომერი, სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, იურიდიული მისამართი, ფაქტობრივი მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია, სამუშაო ადგილი, იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში, ასევე, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის დამადასტურებელი ინფორმაცია);

   ბ) პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა№IV-100/ა), რომელიც გაცემული უნდა იყოს მოდულში დაფინანსების მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღამდე არაუმეტეს 3 თვით ადრე;

   გ) წინასწარი კალკულაცია (ინვოისი).

2. მოსარგებლემ/მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა, მიმწოდებლის მიერ მოდულში მოთხოვნის წარდგენის შემდგომ, ქვეპროგრამის განმახორციელებელს უნდა წარუდგინოს ცნობა კერძო სადაზღვევო კომპანიიდან დაფინანსების თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

რა მოცულობით ფინანსდება მომსახურება?

მომსახურების დაფინანსება განხორციელდება მატერიალიზებული ვაუჩერის/თანხმობის წერილის მეშვეობით, არაუმეტეს **6 000** (ექვსი ათასი) ლარის ოდენობით, პაციენტის თანაგადახდა განისაზღვრება ფაქტიური ხარჯის გათვალისწინებით.